



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კოვიდ-19 კრიზისის დროს საჯარო დაწესებულებების მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

სახელმძღვანელოს მიზნები

კორონავირუსის პანდემის გავრცელების პრევენციისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ინფორმირებას ხელისუფლების საქმიანობის, გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, მათი ხარჯების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და კანონების, ასევე, იმ სოციალური და სხვა ტიპის სერვისების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულებები სთავაზობენ ცალკეულ მოწყვლად ჯგუფებს. ამგვარი მონაცემების დროული გამოქვეყნებით იზრდება ნდობა ხელისუფლების და მის მიერ გატარებული ქმედებების მიმართ, რაც ვირუსთან ბრძოლის ერთ-ერთი ქვაკუთხედი.

პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის დადგენილებით, შეჩერებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით (სზაკ) გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები. ამ პირობებში იზრდება საჯარო დაწესებულებების მხრიდან საბიუჯეტო სახსრების გაუმჭვირვალე და არარაციონალური განკარგვის რისკები. ამ გამოწვევას მნიშვნელოვნად შეამცირებს საჯარო დაწესებულებების მიერ პანდემიის პირობებში გატარებული ღონისძიებების, შესაბამისი ხარჯებისა და მოქალაქეთა მომსახურების მიზნით განხორციელებული ინიციატივების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება.

როგორც მოგეხსენებათ, 2013 წელს საქართველოს ხელისუფლებამ, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში აღებული ვალდებულების შესაბამისად, დაამტკიცა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტი. საქართველოს მთავრობის ეს პროექტი წარდგენილ იქნა გამორჩეულ მიღწევათა ჯილდოზე (Bright Spots Prize) 2013 წელს OGP-ის სამიტზე ლონდონში. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ წლებში, შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი შეფერხებები აღებული ვალდებულებების მაღალი ხარისხით შესრულებასთან დაკავშირებით, მსოფლიოში პანდემიით არსებული გამოწვევების ფონზე, ხელისუფლებისთვის ჩნდება შესაძლებლობა, გააუმჯობესოს ანგარიშვალდებულების სტანდარტი და გაზდეს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა ინფორმაციის პროაქტიულ ხელმისაწვდომობაში.

შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ფონზე კიდევ უფრო თვალსაჩინოა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მნიშვნელობა. რაც უფრო ღია და გამჭვირვალე მდგომა ექნება ხელისუფლებას ინფორმაციის გამოქვეყნების თვალსაზრისით, მით მეტად ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს მიიღებენ მოქალაქეები. ასევე, გაიზრდება ნდობა კრიზისული ვითარებაში მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. გარდა ამისა, მკვლევარებს, დარგის სპეციალისტებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს გაუმარტივდებათ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე წვდომა.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, დოკუმენტი მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს პრაქტიკული რეკომენდაციები, თუ რა ტიპის მონაცემების ხელმისაწვდომობაა საჭირო, რათა საზოგადოებას ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შესახებ. ვფიქრობთ, ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველო იქნება ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტი შესაბამისობაში იქნება მოყვანილი პანდემიის გამოწვევებსა და მასთან ბრძოლის საჭიროებებთან.

დოკუმენტში წარმოდგენილია იმ მონაცემების კატეგორიები, რომლებიც მნიშვნელოვანია საჯარო დაწესებულებებმა პროაქტიულად გამოაქვეყნონ საკუთარ ვებგვერდებზე.

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა

ახალი კორონა ვირუსის პანდემიის მიმდინარეობის და მასთან ბრძოლასთან დაკავშირებით ცალკეული პასუხისმგებელი უწყებების მიერ (საქართველოს მთავრობის პორტალი stopcov.ge, ჯანდაცვის სამინისტრო) გამოსაქვეყნებელი ზოგადი ინფორმაცია:

- 1.1. კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევების ყოველდღიური სტატისტიკური მონაცემები (ასაკის, სქესის და კორონავირუსის დადასტურებამდე პაციენტის ადგილსამყოფელის მიხედვით (კარანტინი, თვითიზოლაცია, პაციენტის მიერ საკუთარი ინიციატივით მიმართვა);
- 1.2. კორონავირუსით ინფიცირებულთა აღრიცხული კონტაქტების რაოდენობრივი მაჩვენებლები, მათგან შემდგომი დადასტურების მაჩვენებლების მითითებით;
- 1.3. გამოჯანმრთელებულთა ყოველდღიური სტატისტიკური მონაცემები (ასაკის, სქესის და კორონავირუსის დადასტურებიდან გამოჯანმრთელებამდე პერიოდის მიხედვით);
- 1.4. გარდაცვლილთა ყოველდღიური სტატისტიკური მონაცემები (მათი ასაკისა და სქესის მიხედვით);
- 1.5. საზღვარგარეთ გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქეების სტატისტიკური მონაცემები (ასაკის, სქესის და გარდაცვალების ადგილის (ქვეყნის) მითითებით);
- 1.6. კარანტინში მყოფი მოქალაქეების სტატისტიკური მონაცემები, მათი კარანტინში მოხვედრის მიზეზების მიხედვით (საზღვრის კვეთა, ინფიცირებულთან სავარაუდო შემხებლობა და ა.შ.);
- 1.7. კორონავირუსის საექვო სიმპტომებით, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი მოქალაქეების სტატისტიკური მონაცემები;
- 1.8. უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილი საქართველოს მოქალაქეების სტატისტიკური მონაცემები (ასაკის, სქესის და დაინფიცირების ადგილის (ქვეყნის) მითითებით);
- 1.9. კორონავირუსთან ბრძოლის თვალსაზრისით ქვეყნაში არსებული სამედიცინო რესურსის ამასახველი სტატისტიკური მონაცემები (საავადმყოფოებში საწოლების რეოდენობა, სამედიცინო პერსონალის, მკურნალობისთვის საჭირო შესაბამისი სამედიცინო ინვენტარის რაოდენობა და ა.შ.);
- 1.10. კორონავირუსის დასადგენად ჩატარებული ტესტების ყოველდღიური სტატისტიკური მონაცემები, ტესტირების მიზნობრივი ჯგუფების და ტესტების შედეგების მიხედვით;
- 1.11. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული კორონავირუსის კლინიკური მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) და მასში შესული ცვლილებები;

- 1.12. კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის დამტკიცებული სტრატეგია;
- 1.13. კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის თვალსაზრისით დამტკიცებული ეკონომიკური სტრატეგია და ანტიკრიზისული გეგმა;
- 1.14. ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების (მათ შორის მიზნობრივი ჯგუფებისთვის გაცემული დახმარებები, დაწესებული სოციალური შეღავათები, და ა.შ.) და თითოეულ ღონისძიებაზე გაწეული ხარჯების ან/და მიღებული ზარალის შესახებ ინფორმაცია;
- 1.15. კორონავირუსის პანდემიის შედეგად, დაკარგული სამუშაო ადგილების სტატისტიკური მონაცემები, ბიზნეს სექტორების მიხედვით;
- 1.16. საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში, იმ ბიზნეს სუბიექტების სტატისტიკური მონაცემები (მათთან დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობის მითითებით) რომლებსაც შეუზღუდათ საქმიანობა;
- 1.17. ბიზნესის ფუნქციონირების აღდგენაზე შემოსული განცხადებების სტატისტიკური მონაცემები, მათი დაკმაყოფილების და უარის მიზეზების მიხედვით;
- 1.18. ხელისუფლების მიერ, პანდემიის ფარგლებში ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების ოპერატიულ მართვაში ჩარევის (გასაყიდ საქონელზე ან მომსახურებაზე ფასის ფიქსირების ან შემცირების მოთხოვნა, ორგანიზაციის პროფილის შეცვლის მოთხოვნა, დამატებითი ვალდებულებების დაკისრება და სხვა.) შემთხვევების შესახებ ინფორმაცია; მსგავსი გადაწყვეტილებების სამართლებრივი საფუძვლების და მიზნობრიობის მითითებით;
- 1.19. საკარანტინო ზონებად და პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში სხვა ღონისძიებებისათვის გამოყენებული სასტუმროების რაოდენობა (სასტუმროს მახასიათებლების და გამოყენებული ნომრების მითითებით). თითოეულ შემთხვევაში გადახდილი საფასურისა და ფართის დაკავების ხანგრძლივობის მითითებით;
- 1.20. პანდემიის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია;
- 1.21. სარეზერვო ფონდებიდან გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია (თითოეულ ღონისძიებაზე გაწეული ხარჯის ოდენობა, მიზნობრიობა, ღონისძიებაზე პასუხისმგებელი უწყების და კონტრაქტორების/ქვეკონტრაქტორების შესახებ ინფორმაცია) ;
- 1.22. StopCov ფონდში ჩარიცხული თანხების და მის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია (თითოეულ ღონისძიებაზე გაწეული ხარჯის ოდენობა, მიზნობრიობა, ღონისძიებაზე პასუხისმგებელი უწყების და კონტრაქტორების/ქვეკონტრაქტორების შესახებ ინფორმაცია);
- 1.23. კორონავირუსთან ბრძოლის ფარგლებში საზღვარგარეთიდან მიღებული დაფინანსების (გრანტი, სესხი) და მის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია (გაწეული ხარჯის ოდენობა, მიზნობრიობა, პასუხისმგებელი უწყების და კონტრაქტორების/ქვეკონტრაქტორების შესახებ ინფორმაცია);

- 1.24. კორონავირუსთან ბრძოლის ფარგლებში საზღვარგარეთიდან მიღებული სხვა დახმარებების შესახებ ინფორმაცია (სამედიცინო აღჭურვილობა და სხვა), დონორი ქვეყნის/ორგანიზაციის მითითებით;
- 1.25. კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი უწყებათაშორისი საბჭოს სხდომის ოქმები;
- 1.26. საზღვარგარეთიდან სახელმწიფოს ხელშეწყობით სპეცრეისებით ჩამოყვანილი მოქალაქეების სტატისტიკური მონაცემები, ქვეყნების მიხედვით;
- 1.27. საზღვარგარეთიდან წამოსვლის მსურველთა სტატისტიკური მონაცემები, ქვეყნების მიხედვით;
- 1.28. საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების ჩამონათვალი და შესაბამისი სამართლებრივი აქტები;
- 1.29. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისთვის დაჯარიმებულთა სტატისტიკური მონაცემები (ფიზიკური და იურიდიული პირები ცალ-ცალკე და მათი დაჯარიმების მიზეზების მიხედვით).

სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდსა და სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სუსტემაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- 1.30. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა, მათ შორის ინფორმაცია Covid 19-თან დაკავშირებული შესყიდვების პროცედურების შესახებ;
- 1.31. შესაბამისი სახელმძღვანელო ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებული პირებისა და შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის შესყიდვის სახეობის მიხედვით, მათ შორის Covid 19-ით განპირობებულ შესყიდვებთან დაკავშირებით;
- 1.32. პანდემიის პირობებში გამარტივებულ შესყიდვათა განსახორციელებლად შესაძლო მიმწოდებლებთან წინასწარი კომუნიკაციის შესახებ ინფორმაცია;
- 1.33. კორონა ვირუსთან ბრძოლის მიზნით სახელმწიფო შესყიდვათა შედეგად დადებული ხელშეკრულებები, შესაბამისი დანართები და მათში შესული ცვლილებები, ასევე ინფორმაცია ხელშეკრულებათა შესრულების შესახებ;
- 1.34. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ჩამონათვალი ხელმისაწვდომი მონაცემთა ღია კონტრაქტირების სტანდარტით (Open Contract Data Standard – OCDS), შემსყიდვლის, მიმწოდებლის, ხელშეკრულების საგნის, შესყიდვის სახეობის, დაფინანსების წყაროს, კატეგორიისა და ქვე-კატეგორიის მიხედვით შესაბამისი CPV კოდის, მისი ქვეკატეგორიის და გადარიცხული თანხის მითითებით;
- 1.35. მიმწოდებელთა საძიებო სისტემები ხელმისაწვდომი ღია ფორმატში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო დაწესებულებებისთვის Covid 19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შესაბამისი სამედიცინო მომსახურების თუ საქონლის მიმწოდებელთა ძიების პროცესში.
- 1.36. მომსახურებისა და საქონლის სია, რომელიც Covid 19-ით განპირობებული ვითარების გათვალისწინებით შესაძლებელია შესყიდულ იქნას გამარტივებული გზით (მნიშვნელოვანია

იმისთვის რომ თავიდან იქნეს აცილებული საგანგებო მდგომარეობის გამოყენება ისეთი შესყიდვების განხორციელებისთვის, რომელიც არ უკავშირდება არსებულ პანდემიას);

1.37. ზემოაღნიშნული მომსახურებისა და საქონლის შესყიდვის CPV კოდებისა და მისი ქვეკატეგორიების სია, ასევე Covid 19-ით განპირობებული შესყიდვების ერთიანი კოდი;

1.38. საბაზრო ღირებულებებთან შედარებით მაღალი ფასების წინააღმდეგ ბრძოლისა და მსგავსი ფასების დაწესების პრევენციის მიზნით გადადგმული ნაბიჯების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის იმ საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელიც აუცილებელია პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

თითოეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პანდემიის ფარგლებში პროაქტიულად გამოსაქვეყნებული სტანდარტული ინფორმაცია:

1. ზოგადი ინფორმაცია

- 1.1. ადმინისტრაციული ორგანოს პანდემიის ფარგლებში მუშაობის სტრატეგია / სამოქმედო გეგმა;
- 1.2. ადმინისტრაციული ორგანოს დაგეგმილი პროგრამების / პროექტების ჩამონათვალი, რომლის განხორციელება პანდემიის ფარგლებში შეჩერდა;
- 1.3. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პანდემიის პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში;
- 1.4. პანდემიის პირობებში, მოქალაქეებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირის/პირების საკონტაქტო ინფორმაცია (ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი, სოციალური ქსელის მისამართი);
- 1.5. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პანდემიის პირობებში მოქალაქეებში გაჩენილ შესაძლო კითხვებზე პასუხები.

2. საჯარო ინფორმაციის გვერდი

- 2.1. საგანგებო მდგომარეობის პირობებში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დაწესებული შეზღუდვების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი სამართლებრივი აქტები.
- 2.2. საგანგებო მდგომარეობის პირობებში ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენასთან და განხილვის ვადებთან დაკავშირებით შესული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი სამართლებრივი აქტები.
- 2.3. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ შესული განცხადებების რეესტრი, რომლებზეც საგანგებო მდგომარეობის პირობებში შეჩერებულია წარმოება.

3. საკადრო უზრუნველყოფა

- 3.1. პანდემიის ფარგლებში საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილებები;
- 3.2. პანდემიის ფარგლებში დისტანციურ მუშაობაზე გადასულ მაჩვენებლები, გენდერის და პოზიციების მიხედვით.

3.3. პანდემიის ფარგლებში თანამშრომლებისთვის დაწესებული საგანგებო გრაფიკის შესახებ გამოცემული სამართლებრივი აქტი;

3.4. საჯარო დაწესებულებაში, საგანგებო მდგომარეობის პირობებში კონკურსის ჩატარების ვადების შეჩერების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

4. სახელმწიფო შესყიდვები და ქონება

4.1. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა და პანდემიის პირობებში მასში განხორციელებული ცვლილებები;

4.2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პანდემიის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაცია, მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულების და გადარიცხული თანხების მითითებით;

4.3. პანდემიის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ კვარტალური ანგარიშები, მათი შედეგები და იმპლემენტაციის პროცესი;

4.4. პანდემიის ფარგლებში დროებით გადაცემული სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაცია;

5. დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა

5.1. ადმინისტრაციული ორგანოს დამტკიცებული ბიუჯეტში, პანდემიის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები;

5.2. პანდემიის ფარგლებში დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია;

5.3. გაცემული სარგო, ფულადი ჯილდო, დანამატი (ცალ-ცალკე) თანამდებობის პირებზე ჯამურად და სხვა თანამშრომლებზე ჯამურად. (მსგავსი ხარჯების პანდემიის შედეგად ცვლილების (დაგეგმილთან შედარებით) შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაციის მითითებით).

5.4. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები (საწვავის ხარჯი, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების ხარჯი; სამიწვინებო ხარჯი, წარმომადგენლობითი ხარჯი, სატელეკომუნიკაციო ხარჯი, საოფისე ხარჯი). (მსგავსი ხარჯების პანდემიის შედეგად ცვლილების (დაგეგმილთან შედარებით) შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაციის მითითებით).

5.5. საერთაშორისო დახმარების/დაფინანსების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გრანტების შესახებ ინფორმაცია, გრანტის ოდენობის, მის ფარგლებში გაწეული ხარჯების, მიზნობრიობის და მომწოდებლის მითითებით;

5.6. საერთაშორისო დახმარების/დაფინანსების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული სხვა ნებისმიერი დახმარების შესახებ ინფორმაცია; დახმარების დასახელების და მისი მიზნობრიობის მითითებით;

5.7. პანდემიის ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია, გრანტის ოდენობის, მისი მიზნობრიობის და გრანტის მიმღების მითითებით;

5.8. პანდემიის ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული სხვა დახმარებების შესახებ ინფორმაცია, მისი მიზნობრიობის და დახმარების მიმღების მითითებით;

5.9. პანდემიის ფარგლებში სარეზერვო ფონდებიდან მიღებული დაფინანსების ოდენობა, მის ფარგლებში დაგეგმილი და გაწეული ხარჯების, მისი მიზნობრიობის და მომწოდებლის მითითებით;

6. სამართლებრივი აქტები

- 6.1. ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული პანდემიის პირობებში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასთან;
- 6.2. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, პანდემიის ფარგლებში საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია.

7. სერვისები

- 7.1. პანდემიის პირობებში მიმდინარე სერვისების, მისით სარგებლობის პირობების და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- 7.2. პანდემიის პირობებში შეჩერებული სერვისების შესახებ ინფორმაცია;
- 7.3. სერვისებზე დაწესებული ტარიფების და პანდემიის პირობებში შესული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია.

მონაცემების გამოქვეყნების ფორმატი

მონაცემების ადვილი ხელმისაწვდომობისა და გამოყენების თვალსაზრისით მათი გამოქვეყნების ფორმატსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, აუცილებელია ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს მათ შორის მანქანად კითხვად (Open Data) ფორმატში.

როგორც ცნობილია, ღია არის მონაცემები, რომელთა გამოყენება, ხელახალი შექმნა და გავრცელება შეუძლია ყველას. ზოგადი განმარტების მიხედვით, ღია მონაცემები არის ნედლი, პირველადი მონაცემი, რომელიც გამოქვეყნებულია ელექტრონული ცხრილის შესაბამის გამოთვლად ფორმატში (მაგ.: CSV, XML).

ღია მონაცემების პრინციპების მიხედვით, მნიშვნელოვანია, გამოქვეყნებული ინფორმაცია იყოს სრულყოფილი; ეფუძნებოდეს პირვალწყაროს, რათა უზრუნველყოფილი იყოს უტყუარობა; გამოქვეყნდეს და განახლდეს დროულად; ადვილად იყოს ხელმისაწვდომი ყველასთვის და რაც ყველაზე მთავარია, შესაძლებელი იყოს მონაცემების ავტომატური დამუშავება.